„ოდა“ და „მინკა“ – ქართული და იაპონური ტრადიციული საცხოვრისების შედარებითი ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
არქიტექტურის, ქალაქგეგმარებისა და დიზაინის ფაკულტეტის პირველი კურსის
სტუდენტები **ნიკა ბიწაძე, ნინი პატარკაციშვილი**

ხელმძღვანელი ასოც.პროფესორი **ლალი ხვედელიძე**

ტრადიციული არქიტექტურის, განსაკუთრებით, ტრადიციული საცხოვრისის, ფორმირებაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს, მათგან უმნიშვნელოვანესია ადამიანთა ცხოვრების წესი და ბუნებრივ-კლიმატური პირობები. ტრადიციული საცხოვრისების შედარებითი ანალიზისას თვალშისაცემი იყო ქართული „ოდა“ სახლისა და იაპონური სახლის „მინკას“ ზოგიერთი ნიშნით მსგავსება. აღნიშნულმა განაპირობა ამ ორი ტიპის საცხოვრისით ჩვენი დაინტერესება და მათი მსგავსება–განსხვავების შესწავლა.

მსგავსებები ნამვილად არსებობს ქართულ და იპონურ საცხოვრისს შორის, მაგალითად ის, რომ ორივე ტრადიციული საცხოვრისის შემთხვევაში სახლის იატაკის ნიშნული აწეულია მიწის ზედაპირიდან და ორივე საცხოვრისი დგას ბოძებზე. მსგავსება შეიმჩნევა შენობის ისეთ ელემენტებშიც, როგორიცაა აივნები, ბუხრები, მოძრავი ტიხრები და სხვა დეტალები. იდენტური ჩანს მინკაში და ოდის ტიპის სახლებში გამოყენებული ზოგიერთი კონსტრუქციული ელემენტი, რაც, შესაძლოა, გამოწვეულია კლიმატის (მაღალი ტენიანობა და უხვი ნალექები) და სამშენებლო მასალის მსგავსებით.

ჩვენ შევეცადეთ, უფრო დეტალურად შეგვესწავლა ორივე ტიპის საცხოვრისის არქიტექტურული იერსახე და თავისებურებები. ქვემოთ წარმოგიდგენთ მათ აღწერა–დახასიათებას, შემდეგ კი მათ ურთიერთშედარებას.

მინკა

ცნობილია იაპონური სახლის „მინკას“ ორი ძირითადი ტიპი: სოფლის – „ნოკა“ და ქალაქის – „მატია“. ნოკასგან შეიძლება გამოიყოს მეთევზეებისთვის განკუთვნილი ქვეტიპი - „გიოკა“. მიუხედავად ამისა, მინკას სტრუქტურა ერთნაირია როგორც ქალაქური, ისე სოფლის ტიპისთვისაც, ასევე, მესაკუთრის სტატუსისა და საზოგადოებრივი ფენის კუთვნილების მიუხედავად. თუმცა ინტერიერში და დეკორში, ისევე, როგორც ყველა კულტურაში, ნათლად იკითხება მფლობელის ვინაობა. მინკა და მისი ეზო–გარემო, როგორც წესი, შემოსაზღვრული იყო ღობითა და ჭიშკრით, რომელთა ზომა და მოკაზმულობა მეტყველებდა მათი პატრონის სტატუსზე.

მინკა ორდონიანია. პირველ დონეზე მიწის იატაკია - დუმა და მთავარი შესასვლელი კარი – ოდო. მეორე დონე მიწიდან დაახლოებით 50–70 სმ–ითაა აწეული. მისი იატაკი ხის ფიცრებისაა და ტატამებითაა დაფარული - ამას თეთრი ნაწილი ქვია და შიგნით ოთხი ოთახია გამოყოფილი. აქედან ორი ოთახი არის საცხოვრებელი, სადაც იატაკში ჩაშენებულია კერა – ირორი. კერიდან კვამლი ზემოთ ადის (სახურავის ქვეშ), ზოგ შემთხვევაში მცირე სავენტილაციო ნახვრეტიც კი შეიძლება იყოს გაკეთებული. საკვამური არცერთი ტიპის სახლში არ არის. ეს კერა საღამოობით იყო ერთადერთი სინათლის წერტილი მთელ სახლში.

მინკა გეგმაში არის მართკუთხა, ძირითადად ერთსართულიანი. მისი სტრუქტურა, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ დავახასიათოთ, არის კარკასული და სეისმურად მდგრადი სისტემა. იატაკის დონე მიწიდან აწეულია 0,6 – 0,7 სმ-ით, რაც გამოწვეულია იაპონიის ბუნების ბიოკლიმატური სტატუსკვოთი – სინესტე, სეისმური ზონა. მინკა შენდებოდა ხელმისაწვდომი, იაფი მასალებისგან. სახლის კარკასი ხის იყო, გარე კედლები ბამბუკისა და თიხისგან იგებოდა, ოთახები ერთმანეთისგან გამოყოფილია მოძრავი შიდა კედლებით – ,,ფუსუმათი''. სახურავი ბალახისა და თივისაა, ზოგჯერ გამომწვარ თიხასაც იყენებდნენ. ბალახი და თივა ტატამებისთვისაც გამოიყენებოდა.

მინკას საფასადო კედლები, რომლებიც მიმართულია ქუჩისკენ, როგორც წესი, არის ყრუ, სტატიკური და უმოძრაო, ხოლო ის კედლები რომლებიც გადაჰყურებს შიდა ეზოს, ყოველთვის მოძრავია. მოძრავი კედლები – ,,ამადო'' კეთდება მერქნის მყარი ფურცლებისგან და წელიწადის თბილ დროს ხდება მათი დემონტაჟი.

იაპონურ სახლს აქვს მთავარი საყრდენი ბოძი, როგორც ქოლგას. სახლი სწორედ ამ კოლონის გარშემო იგება. საყრდენი სისტემა მთლიანად შედგება ვერტიკალური საყრდენებისა და ჰორიზონტული კოჭებისაგან. მას სახლის ხერხემალსაც უწოდებენ. მთავარი კოლონა უკავშირდება სახურავის საყრდენ კოჭებს, რომლებიც შეჭრილია მასში და ამ ჭრილით მაგრდება და არა კვანძებით. კოჭი კეთდება ხისგან და ხშირად ინტერიერის ნაწილს წარმოადგენს. შენობის სტრუქტურული სიმყარისთვის ხის სხვადასხვა კონსტრუქციულ ელემენტს ისე ამაგრებენ ერთმანეთზე, რომ მათ შორის რჩება ადგილი. ეს ცარიელი ადგილი მიწისძვრის დროს სახლს დანგრევისგან იცავს, რადგან ბოძები სახლთან ერთად მოძრაობენ. აღსანიშნავია, რომ ხის მასალად ძირითადად იყენებენ კვიპაროსს, რადგან ესთეტიურ სილამაზესთან ერთად, იგი ძალიან გამძლეა.

ოდა

ოდა სახლი ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოში.საცხოვრისის ეს ტიპი, თავისი გეგმარებითი და მოცულობით-სივრცითი გადაწყვეტით, საკმაოდ მრავალფეროვანია. შეგვიძლია გამოვყოთ ,,ოდა სახლის'' სამი ძირძველი სახეობა.

I – წარმოადგენს მოგრძო ფორმის, ერთი ოთახისგან შემდგარ სახლს, რომელსაც ერთ-ერთი გვერდიდან ერწყმის აივანი, გადახურულია ორქანობიანი სახურავით.

II – ხასიათდება ერთი, ორი, სამი და, იშვიათ შემთხვევაში, ოთხი ოთახის ჯაჭვით, რომელთა გასწვრივ მოწყობილია ფართო აივანი.

III – ტიპი შეიცავს ოთახების ორფრთიან განლაგებას, რომელთაც ორივე მხარეს აქვთ აივნები, გეგმარება არის კვადრატული ფორმის და ეს ყოველივე გადახურულია ოთხქანობიანი სახურავით. აქ შეინიშნება სივრცის განვითარების ეტაპები, რთულდება საცხოვრისის შიდა ორგანიზება, არსი ცვლილებებისა გამოიხატება იმაში, რომ ოროთახიან საცხოვრებელში სასადილოს გამოეყო მისაღები ოთახი, რომელიც მთავარ ოთახად გადაიქცა, საძინებელს კი გამოეყო მცირე სამეურნეო აივანი.



იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აჭარაში და აფხაზეთში ასეთ სახლებს თავისებური ხასიათი აქვთ. ამ მიდამოებში განსაკუთრებულად დიდია ატმოსფერული ნალექები, არის მაღალი ტენიანობა, რის შედეგადაც, კარკასული სისტემა გამოიყენება. ზემოხსენებულ რეგიონებში სახლები შენდებოდა ხის და ქვის ბურჯებზე, რომელთა სიმაღლე 0,5 დან 2,5 მეტრამდე იყო. ოდა სახლის სამშენებლო მასალად ძირითადად ხე და სხვა ადგილობრივი მასალებია გამოყენებული.

დამახასიათებელია, რომ სამზარეულო, სასიმინდე (ნალია) და სხვა სამეურნეო სადგომები ეზოშია განთავსებული. თავად ოდა სახლები განსხვავდება ერთმანეთისგან სიდიდით, მორთულობით – მათი პატრონების შემლების მიხედვით.

სახლის ინტერიერში მნიშვნელოვანია ბუხარი, რომელიც ხშირად მოჩუქურთმებულია. მოწყობილია კედლის კარადები. ოდაში, იაპონური მოძრავი ტიხრების მსგავსად, ოთახების ერთმანეთისგან გასამიჯნად ბევრგან გამოყენებულია გასახსნელი ტიხრები, რათა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს ოთახების გაერთიანება ერთ სივრცედ.

,,ოდა სახლის'' თითქმის ყველა სახეობაში გვხვდება გეგმის სრული მიბმა ფასადის გადაწყვეტასთან. კარების და ფანჯრების ღიობები ძალიან ხშირად განლაგებულია შემდეგი

თანმიმდევრობით:
ფანჯარა > კარი > ფანჯარა>კარი >ფანჯარა

აივანი

იაპონურ სახლში გვხვდება ტრადიციული ,,ენგავა''. ეს არის ღია გალერეა, რომელიც მიჰყვება შენობის გარე პერიმეტერს, მას სახლის სახურავი ფარავს.

ენგავა წარმოადგენს მრავალფუნქციურ სირცეს, იგი არის გარე დერეფანი, რომელიც აკავშირებს სახლის ყველა ოთახს, ამავე დროს ენგავა იცავს წვიმისგან, თოვლისგან და ზაფხულის სიცხისგან, ის შეიძლება გამოყენებულ იქნას სტუმრების მისაღებ ადგილად, თუმცაღა, სამურაების სახლების შემთხვევაში მასში უნდა ემოძრავა დარაჯს, ისე, რომ არ დაერღვია ოჯახის წევრთა მყუდროება.

ენგავას მთავარი დანიშნულებაა შექმნას გარდამავალი სივრცე გარე სამყაროსა და საცხოვრებლის შიდა სივრცეს შორის, ენგავას, სახურავი და მოძრავი დარაბები ,,შიჯი'', ინტერიერის ნაწილად აქცევს. ხოლო ღია სივრცით ის მიეკუთვნება გარესამყაროს. ენგავაზე მოხვედრა ყველა ოთახიდან შეიძლება. ამიტომ ის ამყარებს შენობის ინტერიერისა და ექსტერიერის ურთიერთკავშირს და მოიაზრება ერთგვარ ,,შუალედურ სივრცედ''.

იაპონური ტრადიციული საცხოვრისის ე.წ. შუალედური სივრცის ცნების ფონზე შეგვიძლია დავინახოთ მსგავსება ქართული ოდა სახლის არქიტექტურასთან ოდა სახლის აივნის სახით, რომელიც უძველესი დროიდან გვხვდება და დღემდეა შემორჩენილი. დასავლეთ საქართველოს რეგიონების სახლებში. ღია აივანი, სხვადასხვა პერიმეტრული დისლოკაციით, გარს უვლის სახლს. ოთახები განლაგებულია საერთო აივნის გასწვრივ. აივნის სვეტებს შორის მანძილი გამშვენებულია ხის უნიკალური ორნამენტებით – აჟურით, ჭვირული ჩუქურთმით და განსაზღვრავს მის მხატვრულ იერსახეს. აივანი, თავისი მრავალფუნქციურობით, ოჯახის ყოველდღიურ ცხოვრებასთანაა დაკავშირებული, მასში აისახება ქართული ყოფის ტრადიციები და სტუმართმოყვარეობა. აივანზე ხდება სტუმრის მიღება, გამასპინძლება. აქ სამზეოზეა გამოტანილი საშემოდგომო მოსავალი, რომელიც თავს იწონებს აივნის გასწვრივ გაბმული ნაირფერი ხილ–ბოსტნეულის სხმულების სახით. აივანი არის ქართული ოდა საცხოვრისის ისეთი არქიტექტურული ელემენტი, რომელსაც შუალედური სივრცის''უზრუნველყოფის ფუნქცია ეკისრება. ამ მხრივ, ქართული ოდას აივანს უდიდესი მხატვრულ-ესთეტიკური და ფსიქო-ემოციური დატვირთვა აქვს, რაც, მართალია განსხვავებულად, მაგრამ, ასევე ახასიათებს იაპონურ გარდამავალ სივრცეს ,,ენგავას''. ოდის აივანი, იაპონური ენგავას მსგავსად, გარდამავალი სივრცეა სახლსა და ეზოს შორის.

ეზო

მინკა ცნობილია თავისი კამერული, ინტიმური ჯუჯა ბაღებით – რაც იაპონური ტრადიციიდან და რელიგიდან გამომდინარეობს. ტრადიციული ეზოები – ბაღები, ქვის ლოდებისა და ქვიშის ფერდოვანი გამის, ასევე წყლის დეკორატიული აუზების, არხების, მცირე ხიდების მეშვეობით, ქმნიან მაღალი ღირებულებების ესთეტიკურ გარემოს. მინკას ეზო ჭიშკრიდან იწყება, შენობა ეზოს სიღრმეშია. მაგრამ ბაღის მთავარი ნაწილი მოთავსებულია სახლის უკანა მხარეს. აქ აივანი „ენგავა“ იხსნება მოძრავი ტიხრების მეშვეობით შიდა ბაღისკენ, იყურება შიდა ეზოში ესპლანადით ანუ საკუთარ მიკროსამყაროს პროექციაზე. წინა ფასადის ყრუ პერიმეტრული კედლით იაპონელი ემიჯნება რეალურ გარემოს და იხსნება ექსკლუზიურ – საკუთარ ვირტუალურ სამყაროში.რითიც იქმნება იაპონელებისთვის მეტად მნიშვნელოვანი, სახლისა და ეზოს გამაერთიანებელი გარდამავალი სივრცე, სადაც შესაძლებელია განმარტოება, მედიტირება, სიმშვიდისა და ბუნებასთან ერთიანობის განცდა.

გარდამავალი სივრცის ფუნქციას დასავლეთ საქართველოში ასრულებს ეზო მოლით. ოდა სახლის წინ კოინდარით დაფარული ეზოები მისი წინამოა, სადაც მასპინძელი ეგებება სტუმარს. სტუმარი შემოდის ეზოში, ის უკვე მასპინძლის საცხოვრისშია და ექმნება გარკვეული განწყობილება. კაკლის ან მუხის ხის ძირში მას უმასპინძლდებიან ჩირით, თხილით, ხილით, ჭაჭით (ადგილი ჰქონდა ე.წ აპერიტივს, სანამ დიასახლისი მოამზადებდა სადილს სატრაპეზოდ).
უნდა აღინიშნოს, რომ იაპონურისგან განსხვავებით, საქართველოში, მიუხედავად სახლის ორიენტაციისა, ოდის მეპატრონე მას აუცილებლად ხედზე ხსნის. ზოგადად ქართველისათვის ხედი გარესამყაროზე – ბუნებაზე პრიორიტეტულია. აქედან გამომდინარე, განწყობას უპირველესი მნიშვნელობა აქვს მათთვის. კონკრეტულ შემთხვევაში, ოდა სახლი იხსნება ყველა შესაძლო ხედებზე ოთხივე მიმართულებით. სახლი გარესამყაროსთან კავშირშია, სტუმართმოყვარეა და ამავე დროს ბუნება არის მისი განუყოფელი ნაწილი. მისი ეზო არის მთელი სამყაროს მისტიკური ანარეკლი და იგი ჰარმონიაშია მასთან.
თანამედროვე არქიტექტურის შექმნისას იაპონელი არქიტექტორები დიდ ყურადღებას ანიჭებენ შესასვლელს – ,,გარადამავალ სივრცეს”. მათ ნამუშევრებში კარგად ჩანს იაპონური ტრადიციის შენარჩუნება, მისი გაგრძელება და განვითარება. მიუხედავად ამისა, დღეს დღეისობით იაპონურ სახლებში ცხოვრება არ არის კომფორტული, ისინი არ შეესაბამებიან დღევანდელი კომფორტისა და მოთხოვნილებების ნორმებს. შესაბამისად ასეთი საცხოვრებლების რაოდენობა დროდადრო მცირდება, თუმცა მიუხედავად ამისა, ადგილ-ადგილ როგორ კულტურული და ისტორიული ძეგლები, რათქმაუნდა, შემონახულები არის.

წყაროები

http://shkafkupeprosto.ru/states2/Yaponskij-dom.htm?fbclid=IwAR3EJkOgNLvJaTdNtGWjkS89gZ9iGK9G1l-cX7YZQDwRdlwLC-QJQkX1e44

http://www.vse-strani-mira.ru/tradition/190-japan-tradition/584-dom.html

ლონგინოზ სუმბაძე. არქიტექტურის რესტავრაცია საქართველოში